# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№3-19/011824913 15-17

"06" 12 2018 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქ. თბილისში, ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია, №10, მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №12-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.314) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.**

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №3474480 15.08.2017წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3668615 08.11.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია, №10, მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №12-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე კონდიციონერების აგრეგატებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი.

**"1-6" ფასადი:** ±0.00 ნიშნულზე 2 და 3 ღერძებში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. 1 ღერძის მარცხნივ და 6 ღერძის მარჯვნივ +4.00 ნიშნულის ქვევით ფიქსირდება რიგელები. 2-3 მონაკვეთში +6.70 ნიშნულზე და +34.80 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები.

**"D-A" ფასადი:** C-A მონაკვეთში+4.00 ნიშნულის ძირში ფიქსირდება რიგელი. C ღერძზე შეცვლილია წყალშემკრები მილის ფორმა. D-C მონაკვეთში +8.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ხვრელი. +41.40 ნიშნულზე C-A მონაკვეთში გაუქმებულია გამწვანებისათვის განკუთვნილი კედელი და გამწვანება.

**"A-D" ფასადი:** B-C მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე მოსაწყობია პარკინგის სართულზე შესასვლელი კარი. +4.00 ნიშნულზე A-C მონაკეთში +4.00 ნიშნულის ქვევით ფიქსირდება რიგელი, ხოლო რიგელთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

**"6-1" ფასადი:** 6-4 მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირის ნახატი. 5 და 2 ღერძებე +3.40 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. 6-4 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. 4-3 მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და გაზრდილია კარის რაოდენობა. 3-2 მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე მოსაწყობია პარკინგის სართულზე შესასვლელი კარი. 3-1 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. 6-5 და 2-1 მონაკეთებში +4.00 ნიშნულზე ფიქსირდება რიგელები. 6 ღერძზე -0.60 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა. 6 ღერძის მარცხნივ ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირის ნახატი. +43.10 ნიშნულზე ფიქსირდება რიგელები.

**„გეგმების მიხედვით": -6.60 ნიშნულზე** დამატებით მოწყობილია ტექნიკური ორმოები. 3-2 მონაკვეთში G-G ღერძზე დამატებით მოწყობილია ღიობი და ცხაური. გაზრდილია კოლონების რაოდენობა. 6-6 ღერძზე შემცირდა მონოლითური კედლების სიმაღლე და მთლიანი მონოლითური კედლების ნაცვლად მოწყობილია მონოლითური და ბლოკის კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთი. C-D მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის ჩამოსვლა. 6-5 მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი რის გამოც შეცვლილია პარკინგის სართულის გაბარიტი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

**-3.300 ნიშნულზე** 3-4 მონაკვეთში გაზრდილია ტამბურის სიგრძე. 6-4 მონაკვეთში D-D ღერძის გარეთ შეცვლილია სამანქანო პანდუსთან მოწყობილი კაპიტალური კედლების ფორმა და გაბარიტი. 6-1 ფასადის მხარე ტერიტორიაზე მოწყობილ კაპიტალურ კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები. 1-1 ღერძზე D-D ღერძის გარეთ შეცვლილია მონოლითური საყრდენი კედლის ფორმა და გაზრდილია მისი გაბარიტები, ასევე მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია კოლონები.

**±0.00 ნიშნულზე** A-C მონაკვეთში გაზრდილია მოაჯირის სიმაღლე.

**+40.34 ნიშნულზე** ტერასებზე შეცვლილია პერგოლების ფორმა და გაბარიტი. 6-6 ღეღძის მარჯვნივ 1-6 ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. 3-4 მონაკვეთში ტერასაზე შემცირებულია კაპიტალური კედლის სიმაღლე. 5-5 ღერძზე A-B მონაკვეთში შეცვლილია კედლის სისქე და ფორმა. 6-5 მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგანე.

**+43.79 ნიშნულზე** 4-4 3-3 ღერძებში 6-1 ფასადის მხარეს შემცირებულია ტერასაზე მოწყობილი კაპიტალური კედლების სიმაღლე. ტერასებზე შეცვლილია პერგოლების ფორმა და პერგოლებთან მოწყობილი ლითონის ვერტიკალური მილ-კვადრატების რაოდენობა. 1-2 და 5-6 მონაკვეთებში გაუქმებულია პერგოლები. D-D, 6-6 და 1-1 ღერძებზე შეცვლილია კაპიტალური და ლითონის მოაჯირების გაბარიტი. ტერასებზე და საცხოვრებელ ფართში კედლებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი, რის გამოც შეცვლილია შიდა და ტერასების ფართები. 2-3 და 4-5 მონაკვეთებში გაუქმდა პერგოლები. 3-4 მონაკვეთში შემცირებულია ანტრესოლის სართულზე კიბის საფეხურების რაოდენობა.

**+47.24 ნიშნულზე** გაუქმებულია პერგოლები. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. 2-2 ღერძზე C-B მონაკვეთისკენ შეცვლილია კედლის ფორმა. 1-2 მონაკვეთში შემცირებულია შახტის გაბარიტი. B-B 2-2 ღერძზე შახტებში მოწყობილია ღიობები. 2-3 და 4-5 მონაკვეთებში B-B ღერძთან შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. D-C მონაკვეთში ლიფტის სამანქანოებთან დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. ნაწილობრივ შეცვლილია შახტების გაბარიტი და მდებარეობა. D-C მონაკვეთში ლიფტის სამანქანოში დამატებით მოწყობილია ბაქნები.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შპს „ნოვო დეველოპმენტ"-ს, ქ. თბილისში, ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია, №10, მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №12-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.314) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** №19/01182491315-17 06.09.2018წ. განცხადება.
№წ-19/01182491315-17 07.09.2018წ. ბრძანება.

**მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე** გიორგი გეგჭაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01190233146**
თარიღი: **23/01/2019**
პინი: **1174**

**ადრესატი:** შპს ნოვო დეველოპმენტი
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405104033
**მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლ. არდაზიანის ქ., №7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/0118358137-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია, N10, მიმდებარედ / ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი №01.14.05.008.314) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხვორებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ Nბ-19/01182491315-17 ბრძანებაში მითითებული დარღვევებიდან გამოსწორებულია შემდეგი: ,,ფასადებზე კონდიციონერების აგრეგატებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი''; ,,გეგმების მიხედვით 3-2 მონაკვეთში G-G ღერძზე დამატებით მოწყობილია ღიობი და ცხაური''; ,,6-5 მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რის გამოც შეცვლილია პარკინგის სართულის გაბარიტი''; -3.300 ნიშნულზე 3-4 მონაკვეთში გაზრდილია ტამბურის სიგრძე. ასევე გაცნობებთ, რომ ,,1-6'' ფასადზე 2-3 მონაკვეთში +6.70 ნიშნულზე და +34.80 ნიშნულზე სატელიტური ანტენები დემონტირებულია. ,,D-A'' ფასადზე D-C მონაკვეთში +8.40 ნიშნულზე ამოშენებულია მცირე ზომის ხვრელები. +41.40 ნიშნულზე C-A მონაკვეთში მოწყობილია გამწვანებისთვის განკუთვნილი კედელი და გამწვანება.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-082 *405026877*

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი